

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №50
2019 წლის 30 დეკემბერი

ქ. ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2018, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.105.016488) შეტანილ იქნეს ცვლილებები და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

თავი I

ზოგადი ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შესახებ

მუხლი 1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

- ა) ცენტრი – ქ. ზუგდიდი;
- ბ) ადმინისტრაციული ერთეული სოფლად – 48;
- გ) ადმინისტრაციული ერთეული ქალაქად – 5;
- დ) მოსახლეობის რაოდენობა – 105.5 ათასი;
- ე) ფართობი – 792.0 ათასი
- ვ) მოსახლეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტი – 0152;
- ზ) გზების სიგრძე – 1344კმ;
- თ) 0-5 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა – 7.9 ათასი;
- ი) სკოლის ასაკის ბავშვების რაოდენობა – 3.9 ათასი;
- კ) პენსიონერთა რაოდენობა – 29524;
- ლ) სოციალურად დაუცველთა რაოდენობა – 5037.



თავი II

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	მათ შორის			მათ შორის		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	43,679.5	10,652.1	33,027.4	57,628.4	20,878.4	36,750.0
გადასახადები	9,707.5	0.0	9,707.5	31,888.2	0.0	31,888.2
გრანტები	30,836.5	10,652.1	20,184.4	21,228.4	20,878.4	350.0
სხვა შემოსავლები	3,135.5	0.0	3,135.5	4,511.8	0.0	4,511.8
ხარჯები	29,701.9	781.1	28,920.8	37,252.2	3,408.5	33,843.7
შრომის ანაზღაურება	5,511.9	0.0	5,511.9	5,488.4	0.0	5,488.4
საქონელი და მომსახურება	1,909.3	0.0	1,909.3	3,910.6	1,537.3	2,373.3
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	327.2	0.0	327.2	162.5	0.0	162.5
სუბსიდიები	17,798.9	0.0	17,798.9	19,568.1	0.0	19,568.1
გრანტები	3.4	0.0	3.4	577.2	0.0	577.2
სოციალური უზრუნველყოფა	2,170.2	0.0	2,170.2	2,940.0	0.0	2,940.0
სხვა ხარჯები	1,981.0	781.1	1,199.9	4,605.4	1,871.2	2,734.2
საოპერაციო სალდო	13,977.4	9,870.9	4,106.5	20,376.2	17,469.9	2,906.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	12,507.3	8,915.0	3,592.3	27,076.7	24,244.4	2,832.3
ზრდა	12,840.0	8,915.0	3,925.0	35,276.7	24,244.4	11,032.3
კლება	332.7	0.0	332.7	8,200.0	0.0	8,200.0
მთლიანი სალდო	1,470.1	955.9	514.2	-6,700.5	-6,774.5	74.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	784.0	955.9	-171.9	-3,932.5	-3,274.5	-658.0



ზრდა	955.9	955.9	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	955.9	955.9	0.0	0.0	0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	171.9	0.0	171.9	3,932.5	3,274.5	658.0
ვალუტა და დეპოზიტები	110.9		110.9	3,932.5	3,274.5	658.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	61.0	0.0	61.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-686.1	0.0	-686.1	2,768.0	3,500.0	-732.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	3,500.0	3,500.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	3,500.0	3,500.0	0.0
კლება	686.1	0.0	686.1	732.0	0.0	732.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	686.1	0.0	686.1	732.0	0.0	732.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

	2018 წლის ფაქტი		2019 წლის გეგმა	
	მათ შორის		მათ შორის	



დასახელება	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	44,073.2	10,652.1	33,421.1	69,328.4	24,378.4	44,950.0
შემოსავლები	43,679.5	10,652.1	33,027.4	57,628.4	20,878.4	36,750.0
არაფინანსური აქტივების კლება	332.7	0.0	332.7	8,200.0	0.0	8,200.0
ფინანსური აქტივების კლება	61.0	0.0	61.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	3,500.0	3,500.0	0.0
გადასახდელები	43,228.0	9,696.1	33,531.9	73,260.9	27,652.9	45,608.0
ხარჯები	29,701.9	781.1	28,920.8	37,252.2	3,408.5	33,843.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	12,840.0	8,915.0	3,925.0	35,276.7	24,244.4	11,032.3
ვალდებულებების კლება	686.1	0.0	686.1	732.0	0.0	732.0
ნაშთის ცვლილება	845.2	956.0	-110.8	-3932.5	-3274.5	-658.0

მუხლი 4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 57628,4 ათ. ლარის ოდენობით,თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	მათ შორის			მათ შორის		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	43,679.3	10,652.0	33,027.3	57,628.4	20,878.4	36,750.0
გადასახადები	9,707.5	0.0	9,707.5	31,888.2	0.0	31,888.2
გრანტები	30,836.5	10,652.1	20,184.4	21,228.4	20,878.4	350.0
სხვა შემოსავლები	3,135.5	0.0	3,135.5	4,511.8	0.0	4,511.8

მუხლი 5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 31888,2 ათ. ლარის ოდენობით,თანდართული რედაქციით:



დასახელება		2018 წლის ფაქტი		2019 წლის გეგმა		
		მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსვლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსვლები
გადასახადები	9,707.5	0.0	9,707.5	31,888.2	0.0	31,888.2
დღგ	0.0	0.0	0.0	22,888.2	0.0	22,888.2
საშემოსავლო გადასახადი	2,341.6		2,341.6	0.0	0.0	0.0
ქონების გადასახადი	7,365.9	0.0	7,365.9	9,000.0	0.0	9,000.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5,116.7	0.0	5,116.7	7,200.0	0.0	7,200.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	310.3	0.0	310.3	200.0	0.0	200.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	57.0	0.0	57.0	50.0	0.0	50.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	410.8	0.0	410.8	400.0	0.0	400.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,471.1	0.0	1,471.1	1,150.0	0.0	1,150.0

მუხლი 6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 21228.4 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება		2018 წლის ფაქტი		2019 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსვლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსვლები
გრანტები	30,836.5	10,652.1	20,184.4	21,228.4	20,878.4	350.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	30,836.5	10,652.1	20,184.4	21,228.4	20,878.4	350.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	20,184.4	0.0	20,184.4	3,149.5	2,799.5	350.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	19,187.9		19,187.9	0.0	0.0	0.0



მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	350.0	0.0	350.0	3,149.5	2,799.5	350.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	646.5	0.0	646.5	0.0	0.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	10,652.1	10,652.1	0.0	18,078.9	18,078.9	0.0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	9,962.9	9,962.9	0.0	15,372.0	15,372.0	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0.0	0.0	948.0	948.0	0.0
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მთავრობის სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	689.2	689.2	0.0	1,758.9	1,758.9	0.0

მუხლი 7. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლები 4511,8 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება		2018 წლის ფაქტი		2019 წლის გეგმა		
		მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	3,135.5	0.0	3,135.5	4,511.8	0.0	4,511.8
შემოსავლები საკუთრებიდან	746.8	0.0	746.8	1,600.0	0.0	1,600.0
პროცენტები	68.3	0.0	68.3	425.0	0.0	425.0
რენტა	678.5	0.0	678.5	1,175.0	0.0	1,175.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	218.0	0.0	218.0	990.0	0.0	990.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	460.5	0.0	460.5	185.0	0.0	185.0



სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,434.6	0.0	1,434.6	1,611.8	0.0	1,611.8
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,349.8	0.0	1,349.8	1,511.8	0.0	1,511.8
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სანებართვო მოსაკრებელი	199.0	0.0	199.0	450.0	0.0	450.0
სახელმწიფო ბაჟი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.4	0.0	0.4	1.0	0.0	1.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	652.7	0.0	652.7	550.0	0.0	550.0
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	497.7	0.0	497.7	500.0	0.0	500.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0	10.8	0.0	10.8
არა საბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	84.8	0.0	84.8	100.0	0.0	100.0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	84.8	0.0	84.8	100.0	0.0	100.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	948.0	0.0	948.0	1,000.0	0.0	1,000.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	6.1	0.0	6.1	300.0	0.0	300.0

მუხლი 8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 37252,2 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

	2018 წლის ფაქტი		2019 წლის გეგმა
--	-----------------	--	-----------------



დასახელება		მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	29,701.9	781.1	28,920.8	37,252.2	3,408.5	33,843.7
შრომის ანაზღაურება	5,511.9	0.0	5,511.9	5,488.4	0.0	5,488.4
საქონელი და მომსახურება	1,909.3	0.0	1,909.3	3,910.6	1,537.3	2,373.3
პროცენტი	327.2	0.0	327.2	162.5	0.0	162.5
სუბსიდიები	17,798.9	0.0	17,798.9	19,568.1	0.0	19,568.1
გრანტები	3.4	0.0	3.4	577.2	0.0	577.2
სოციალური უზრუნველყოფა	2,170.2	0.0	2,170.2	2,940.0	0.0	2,940.0
სხვა ხარჯები	1,981.0	781.1	1,199.9	4,605.4	1,871.2	2,734.2

მუხლი 9. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 35276,7 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	12,840.0	8,915.0	3,925.0	35,276.7	24,244.4	11,032.3
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	33.4	0.0	33.4	260.0	0.0	260.0
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	63.4	0.0	63.4	0.2	0.0	0.2
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	12,158.6	8,579.5	3,579.1	30,808.7	21,350.8	9,457.9
განათლება	338.5	180.7	157.8	3,164.6	2,085.1	1,079.5



კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	246.1	154.8	91.3	1,038.3	808.5	229.8
მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	4.9	0.0	4.9

თავი III

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 10. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

2019-2022 წლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი ვექტორი ფოკუსირებული იქნება იმ პრიორიტეტებზე როგორც არის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პროგრამების გაფართოება, სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულებების ქსელის სისტემატური ზრდა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, ნორჩ აღსაზრდელთა კონტიგენტის მაქსიმალურად მოცვა, კულტურული ცხოვრების, სპორტის, ტურიზმის შემდგომი განვითარება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სფეროში აგრეთვე საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ შესაბამისი კანონებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილებების მუნიციპალური სახსრებით ფინანსური მხარდაჭერა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლების სფეროს მხარდაჭერა, სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა, აღნიშნული დარგის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
- კულტურისა და სპორტის განვითარება, ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- თვითმმართველობა და თავდაცვა.

1. 44565.7 ათასი ლარი – ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მყარი მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შექმნა და გაუმჯობესება. იგი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ამ პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადებისა და ეზოების, პარკებისა და სკვერების, გარე განათების, წყალმომარაგებისა და სანიაღვრე სისტემების, ტროტუარების, ხიდების რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პარალელურად, პრიორიტეტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არსებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას. ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად თანხები გამოიყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.



1. 10168,5 ათასი ლარი – საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია საკომუნიკაციო საშუალებების, კერძოდ გზების და ხიდების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების, ხიდების სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, რაოდენობრივად და ხარისხობრივად მეტი რეაბილიტირებული გზა და ხიდი;

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;

კომერციული, კულტურული, სპორტული, ტურისტული დანიშნულების ობიექტებთან კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული და ახალი გზების, ხიდების მატების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

1.1.1 9092,9 ათასი ლარი-გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის აღწერილობა

ქვეპროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების მშენებლობა, გზების არსებული საფარის მიმდინარე და კაპიტალური აღდგენის სამუშაოები. მათ შორის: გზების მიმდინარე (ორმული) შეკეთება, არაასფალტირებული გზების ხრეშოვანი საფარის რეაბილიტაცია. ქალაქის გზების ორმული შეკეთება: კ. გამსახურდიას ქუჩა (პირველი შესახვევით), იონა მეუნარგიას ქუჩა, თავისუფლების ქუჩა, ბარამიას ქუჩა, თამარ მეფის ქუჩა, ბ. ჯანაშიას ქუჩა, პუშკინის ქუჩა, ქუთაისის ქუჩა, გოგებაშვილის ქუჩა, გორკის ქუჩა, ნინოშვილის ქუჩა, ლაზის ქუჩა, თათარაშვილის ქუჩა, სპეციალისტების ქუჩა, მარია და ლევ კაჩინსკების ქუჩა, სახოკიას ქუჩა, ლერმონტოვის ქუჩა. სოფლის გზების ორმული შეკეთება საჭიროებისამებრ.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბილიტირებული გზა;

მგზავრთა შეუფერხებელი, მოხერხებული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული და ახალი საფარი გზების მშენებლობის ხარისხობრივი და კილომეტრებში რაოდენობრივი მაჩვენებელი;

მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების საკმარისი დონე.

პროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური

1.2. 1075,6 ათასი ლარი – ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 02)



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ხიდების რეაბილიტაცია, ახალი ხიდებისა და ხიდ-ბოგიერების მშენებლობა. ადმინისტრაციულ ერთეულებში ხიდების რეაბილიტაცია: ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში გურამიშვილის ქუჩაზე ხიდის რეაბილიტაცია, ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში სამანქანო ხიდის რეაბილიტაცია, ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩემიების უბანში ხიდის რეაბილიტაცია, რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია, ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში საპერტის უბანში ხიდის რეაბილიტაცია, შამადელას ადმინისტრაციულ ერთეულში სიჭინავების უბანში ხიდის რეაბილიტაცია, ორსანტიის ადმინისტრაციულ ერთეულში პატარა ენგურზე ხიდის რეაბილიტაცია, ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სვანების უბანში ხიდის რეაბილიტაცია, ჯუმის ადმინისტრაციულ ერთეულში სამანქანო ხიდის მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მუნიციპალიტეტების კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობის შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ავარიული ხიდების შეკეთების და ახალი ხიდების მშენებლობის რაოდენობრივი მაჩვენებელი;

მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილების მეტი გარანტია.

პროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური

1.2. 6712.7 ათასი ლარი -კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია კომუნალური მეურნეობის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება, ერთიანი ენერგოეფექტური გარე განათების სისტემის ჩამოყალიბება, მუნიციპალური სერვისების განვითარება. პროგრამის ფარგლებში იწარმოებს გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის რეაბილიტაცია. განხორციელდება ქალაქისა და სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში უწყვეტი ციკლით დასუფთავება, მყარი ნარჩენების შეგროვება და გატანა, კეთილმოწყობა და გამწვანება. გატარდება შესაბამისი ღონისძიებები, მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობის, ფასადების და სახურავების შეკეთება-რემონტის სამუშაოების ჩასატარებლად. ამავე პროგრამით განხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

კეთილმოწყობილი და განათებული ქალაქი;

ქალაქის დასუფთავებული ქუჩები, პარკები და სკვერები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ქალაქის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურული იერ-სახე;

მეტი რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობები;

მეტი განათებული და კეთილმოწყობილი ქუჩები, სკვერები, პარკები და მოედნები.



1.2.1. 4720.5 ათასი ლარი – დასუფთავების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამების ფარგლებში პრიორიტეტი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 1 აპრილს დამტკიცებული „ნარჩენების მართვის 2016 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიის, „ნარჩენების მართვის 2016 – 2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018 – 2022 წწ გეგმის“ შესაბამისად.

აღნიშნული პრიორიტეტიდან გამომდინარე განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა, ტერიტორიის მყარი ნარჩენებისგან გაწმენდა, მუნიციპალიტეტის ქვემდებარე ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრალური ადგილების, ტროტუარების, სკვერების, გაზონების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების აკრეფა-შეგროვება, მოსახლეობის კარდაკარ შემოვლის (ე.წ. ზარის პრინციპი) მეთოდით ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულების 475 ქუჩაზე მცხოვრები 13 ათასი კომლიდან და 48 სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრები 18 ათასი კომლიდან წარმოქმნილი მყარი ნარჩენების შეგროვება-აკრეფა და ტრანსპორტირება სპეციალურ ნაგავსაყრელში. ამასთან უწყვეტი რეჟიმით იწარმოებს მყარი ნარჩენების გატანა კომერციული სტრუქტურებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან, სასწავლო-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებიდან. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, რომლის ფართობი 682 კვადრატული კილომეტრია, დაქსელილია 1675 – ზე მეტი ქუჩით, ცხოვრობს 105 ათასზე მეტი ადამიანი (31 ათასი კომლი). ერთი მაცხოვრებლის მიერ დღე – ღამეში საშუალოდ წარმოიქმნება 800 გრამზე მეტი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი, სულ 23 ათას ტონაზე მეტი ასევე დაახლოებით 10 ათას ტონამდე მყარი ნარჩენი წარმოიქმნება სამრეწველო, კომერციული, სახელმწიფო და სხვა ობიექტებიდან და სხვადასხვა აქტივობებიდან. წელიწადში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოიშობა 33 ათას ტონამდე (100 ათასი მ³ გაშლილი მასა) მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი, რომლის მოცულობაც იზრდება ეკონომიკის განვითარების (ანაკლიის განვითარების მიმართულებით), ურბანიზაციის პროცესების მიმდინარეობისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების კვალობაზე, ამას ემატება 5 წლიანი გეგმით განსაზღვრული მოთხოვნები მომსახურეობის უფრო მაღალ სტანდარტებზე, გადასავლელად კერძოდ:

უნდა განხორციელდეს მყარი ნარჩენების მართვა ისე, რომ 2022 წლისათვის უზრუნველყოფილი იქნას მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი მყარი ნარჩენების 100% – ით შეგროვება როგორც ქალაქის, ისე სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით და გატანა ნაგავსაყრელზე. მყარი ნარჩენების სეპარირებული (დახარისხებული) შეგროვების დაწყება 2019 წლიდან. გარდა ამისა მიღწეული უნდა იქნას 2020 წლისათვის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლები: ქალაქისა 30%-ით, მინისა–20%-ით, მეტალისა–70 %-ით, პლასტიკატისა–30%-ით. (2019–2021 წლები განიხილება, როგორც გარდამავალი პერიოდი ნარჩენების მართვის ისეთი ეტაპების დანერგვისათვის როგორცაა სეპარაცია-დახარისხება და მეორადი გადამუშავება).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მყარი ნარჩენების მართვის პროცესი მუნიციპალიტეტში როგორც მართვის, ისე მომსახურების სერვისის განვითარებისათვის მრავალმხრივ სრულყოფას და შევსებას მოითხოვს.

– მომსახურეობის სერვისის გაუმჯობესების მიზნით საჭირო გახდება ისეთი სახის ტექნიკის შეძენა, როგორიცაა: კომპაქტორიანი ნაგავშიიდები, ქუჩების და სკვერების მოსარწყავი, როგორც მცირე, ისე დიდი გაბარიტის დამგველი მანქანები, ექსკავატორი, თვითმცლელი მანქანები, მოტოროლერები, „პიკაპის“ ტიპის და მარიანი ავტომანქანები, აგრეთვე მიღებული უნდა იქნეს საჭირო ღონისძიებები მუშა შრომის პირობების ეტაპობრივად გაუმჯობესებისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ყოველდღიურად დასუფთავდება 80 ჰექტარზე მეტი ფართობი;

2019 წელს შეგროვებული და ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებული იქნება 108,0 ათასი მ³ (დაახლოებით 33.0 ათასი ტონა) მყარი ნარჩენი;

მუნიციპალიტეტში მკვეთრად გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა;



დასუფთავებული, სანიტარულად და ჰიგიენურად მიმზიდველი გახდება ქალაქისა და სოფლების ცენტრები და უბნები, ტროტუარები, სკვერები, გაზონები, სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, ცენტრალური ხეივანი, ტურისტული ობიექტები, სასტუმროების, კაფეების, ცენტრალური სუპერმარკეტის, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მიმდებარე ტერიტორიები, ქალაქის შემოსასვლელები და გასასვლელები; დაიწყება მყარი ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და რეციკლირების პროცესები;

მკვეთრად გაუმჯობესდება სამსახურის მატერიალურ – ტექნიკური ბაზა;

სრულყოფილი იქნება მოსახლეობიდან მოსაკრებლის ამოღების ადმინისტრირება;

საქართველოში დანერგილი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით მოხდება მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება, მოსაკრებლის რეალური ტარიფის დადგენა და მისი ეტაპობრივი დანერგვა 2020 წლამდე, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი დაფინანსების მინიმუმაცია ბიუჯეტის მეშვეობით .

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის, ოჯახების და კომლების, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების, დევნილთა ჩასახლების ადგილების, დასუფთავების მომსახურებით მოცვის პროცენტული და რაოდენობრივი მაჩვენებელი;

მყარი ნარჩენების სეპარირებული (დახარისხებული) შეგროვების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი;

სტიქიური ნაგავსაყრელების აღკვეთისათვის გატარებული კონკრეტული ღონისძიებები;

მომსახურების გაუმჯობესების ხარისხობრივი მაჩვენებელი;

შემენილი გაუმჯობესებული სპეცტექნიკის და საშუალებების რაოდენობრივი მაჩვენებელი;

ხარისხიანი და სისტემატური მომსახურების გაუმჯობესებული შედეგობრივი პარამეტრი დასუფთავების მოსაკრებლის ბიუჯეტში მობილიზაციის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლის ზრდით.

პროგრამის განმახორციელებელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“

1.2.2. 139,3 ათასი ლარი – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების რეაბილიტაციისთვის და განახლებისთვის საჭირო სამუშაოებზე თანადაფინანსების ხოლო ცალკეულ სარეაბილიტაციო-აღდგენით ღონისძიებებზე ბიუჯეტის სახსრებით სრული დაფინანსების პრინციპით ხარჯების გაწევა. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და მოსახლეობის დახმარების მიზნით, პროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: შენობის გადახურვის სამუშაოებს (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა), ლიფტების, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის, სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთებას, სადარბაზოებში სხვადასხვა სახის კეთილმოწყობითი სამუშაოების განხორციელება.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამით გათვალისწინებული 170,0 ათ. ლარი მართული იქნება:

ქალაქის ტერიტორიაზე განთვსებული მაღალსართულიანი შენობების ამორტიზირებული სამგზავრო



ელექტრონული ლიფტების ახალი თანამედროვე სამგზავრო ელექტრონული ლიფტებით ჩანაცვლების დაფინანსებისათვის – 110,0 ათ. ლარი.

საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებელი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების, ეზოების საზღვრების, ე. წ. წითელი ხაზების დასადგენად გასაწევი (მომსახურების) ხარჯები, რომელიც წინასწარი გაანგარიშებით შეადგენს – 4,0 ათ. ლარი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების“ საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოების კეთილმოწყობის, გადახურვის, შიდა წყალგაყვანილობის, პერაპეტიებისა და წყალსაწრეტი მილების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული პროექტების განსახორციელებელისათვის – 50,0 ათ. ლარი

ამხანაგობების საცხოვრებელ კორპუსების ეზოს შესასვლელებში რეგულირებადი შლაგბაუმების მოწყობის პროექტების განხორციელებისათვის – 6,0 ათ.ლარი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოწესრიგებული, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინფრასტრუქტურა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ამხანაგობების ჩართულობით განხორციელებული მეტი პროექტები. კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რაოდენობა.

პროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის მუნიციპალური სერვისებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილება

1.2.3. 20,7 ათასი ლარი – მიწის ნაკვეთების საკადასტრო ნახაზების და ქონების შეფასების ხარჯები (პროგრამული კოდი 03 02 03)

1. ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური ქონების ეფექტურად მართვა და განკარგვა. ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგეგმარების შესაბამისად, არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შემდგომი გამოყენებისთვის საკადასტრო ნახაზებისა და მათი ელექტრონული ვერსიების მომზადება, შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შედგენა, აღრიცხვაზე ასაყვანი ქონების შეფასება, მთ შორის სტრატეგიული ძირითადი აქტივების.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

უძრავი ქონების მიწის მართვისა და პრივატიზების პროცესის ადმინისტრირება.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების რეგისტრაცია, ბალანსზე ასახვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კანონის შესაბამისად განკარგული მუნიციპალური ქონება.

მუნიციპალიტეტის ქონების ეფექტური განკარგვა და შემოსავლების ზრდა მიწის საკუთრებიდან.

პროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილება



1.2.4. 20.0 ათასი ლარი – ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 04)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნასთან ერთად ტურისტების მოზიდვის ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობისა და ტურისტულ ადგილებზე ინფორმაციების მოპოვებასა და დათვალიერებაში.

2019 კალენდარული წლის განმავლობაში ორგანიზებული იქნება და ჩატარდება შემდეგი ღონისძიებები:

გიდების გადამზადება – 1.0 ათასი ლარი;

ტურისტული თვალსაზრისით ბუკლეტების, ბროშურების დაბეჭდვა – 4.0 ათასი ლარი;

ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით გამოფენებში მონაწილეობის მიღება – 3.0 ათასი ლარი;

ნიშნულების და საინფორმაციო დაფების დამზადება – 7.0 ათასი ლარი;

მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის ტურიზმის სფეროს კონფერენციების მოწყობა-ორგანიზება – 2.0 ათასი ლარი;

საიმიჯო-სარეკლამო ვიდეორგოლის გადაღება – 3.0 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგი:

ტურისტების დაინტერესება მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობებით და გარემოთი, ხელმისაწვდომობა ინფორმაციებზე გზამკვლელებისა და საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დამსვენებელთა და ტურისტების რაოდენობრივი ზრდის მაჩვენებელი.

პროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის განყოფილება.

1.2.5. 378.0 ათასი ლარი – გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქალაქის კეთილმოწყობის, მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ქუჩების განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება და მოეწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ გზებზე, პარკებში, სკვერებში, მოედნებსა და შიდა ეზოებში გარე განათების ახალი ქსელები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ფეხით მოსიარულეთა და ტრანსპორტის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება, კეთილმოწყობილი გარემო.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

წინა წელთან შედარებით დამატებით განათებული ქუჩებისა და უბნების რაოდენობა;

ღამის საათებში კრიმინალური ფაქტების შემცირების მაჩვენებელი.

პროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური



1.3. 10979,8 ათ.ლარი – მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია ზრუნვა მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სისტემატურად გაუმჯობესებისათვის. პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის სათანადო სამუშაოების ჩატარებას; ბუღვარის, პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციასა და რეაბილიტაციას. სადღესასწაულო დღეებში ქალაქის გაფორმების ღონისძიებებს; ქალაქის გამწვანებას, მრავალბინიანი სახლების მიმდებარე ეზოების კეთილმოწყობას, სანიღვრე არხების მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, ავარიული და გამხმარი ხეების გადაბეღვას და ახლის დარგვას, შადრევნების გამართული მუშაობის უზრუნველყოფას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობილი იერსახე;

გაუმჯობესებული ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო;

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის საექსპლოატაციო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების ეფექტურობის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მეტი გამწვანებული და მოვლილი ტერიტორია;

განათებული ქუჩების, უბნების და მოედნების ზრდის მაჩვენებელი;

ჭარბი ნალექებისაგან მოსახლეობის დაცვის და უვნებლობის პროცენტული გაზრდილი მაჩვენებელი; მოვლილი და დაცული მუნიციპალური ინფრასტრუქტურა.

1.3.1. 4676.4 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები ა(ა)ი.პ „კეთილმოწყობის ცენტრის“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 03 03 01)

პროგრამის მიზანი:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის, მუნიციპალიტეტის განკარგულებაში არსებული აქტივების მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარე განათების ქსელის მოწყობა, მოვლა, ექსპლუატაცია; განათების არსებული ნათურების ჩანაცვლება ეკონომიური 6700 ერთეული დიოდური ნათურებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და რეაბილიტაცია; არსებული შადრევან-აუზების მოვლა, ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების ზოლების მოწყობა, არსებული ნარგავების მოვლა, მცენარეების დარგვა, ჩანაცვლება და მოვლა-პატრონობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა სარგებლობის გზების, ხიდების, მიწისქვეშა გადასასვლელის, მდინარეთა ჯებირების და სხვა საინჟინრო ნაგებობების მოწყობა, შეკეთება და ექსპლუატაცია; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გზაჯვარედინების მარეგულირებელი შუქნიშნების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია; ლიფტების შეკეთება, ზედამხედველობის უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელის ექსპლუატაცია-რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღესასწაულების საზეიმო გაფორმების ღონისძიებების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმწეო და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის მიზნობრივი მომართვის საფუძველზე საცხოვრებელი შენობის მცირე შეკეთებითი სამუშაოების ჩატარება; დამკვეთის მომსახურების განხორციელება: სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის, კულტურის და სპორტის



დაწესებულებების სარგებლობაში არსებული მიწის (ეზოები, მოედნები, სკვერები) ნაკვეთზე ბალახის საფარის დამუშავება-გათიზვის, ხეების მოჭრის და გადაბელვის სამუშაოების შესასრულებლად. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის“ შესაბამისად სასაფლაო მეურნეობის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი შედეგები:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების და მოვლა-პატრონობის ეფექტიანობის დონის ამაღლება;

ქალაქისა და მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციული ერთეულების იერსახის გაუმჯობესება;

ჭარბი ნალექებისაგან მოსახლეობის უვნებლობის და ზიანის მიყენების რისკების პრევენციული ღონისძიებების გაუმჯობესება;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაო მეურნეობის კეთილმოწყობისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებების ეფექტურობის უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გაუმჯობესებული და ეფექტური მუნიციპალური ინფრასტრუქტურა;

მეტი კეთილმოწყობილი სკვერები, პარკები, მოედნები და ქალაქის გალამაზებული იერსახე;

ბუნების სტიქიისა და შესაძლო რთული მეტეოროლოგიური პირობების შედეგად მოსახლეობისათვის შესაძლო ზიანისა და მატერიალური ზარალის მიყენების შემცირებული რისკები.

პროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „კეთილმოწყობის ცენტრი“

1.3.2. 240,0 ათასი ლარი – ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 03)

პროგრამის აღწერა

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი იქნება უნიკალური ისტორიული მემკვიდრეობის მქონე თანამედროვე ტიპის ბაღი კავკასიის რეგიონში.

მნიშვნელოვანი ინვესტიციებისა და სწორი მარკეტინგული დაგეგმარების შედეგად, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი ღირსეულ ადგილს დაიკავებს საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ბოტანიკურ ბაღებს შორის.

განახლებული ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ტურისტული პოტენციალის და მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის მოწყობა, ბაღის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის განახლება. ა(ა)იპ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მიზანია უზრუნველყოს უნიკალური და საფრთხის წინაშე მყოფ ხე-მცენარეთა მოვლა-პატრონობა და გადარჩენა, შემდგომში მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარების გზით გამრავლება, გამრავალფეროვნება და პოპულარიზაცია. აგრეთვე ბოტანიკური ბაღის მიზანია ტურისტული პოტენციალის და მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგები:

განხორციელდება ბოტანიკური ბაღის სრული რეაბილიტაცია. მოეწყობა მისი თანამედროვე



ინფრასტრუქტურა. აღდგება ბოტანიკური ბაღის სარწყავი სისტემა, მოეწყობა დასასვენებელი ადგილები, ბილიკები, ღია კაფეები, განახლება გამწვანება, რეაბილიტაცია ჩაუტარდება დადიანების ადმინისტრაციულ შენობას, მოეწყობა სანერგე მეურნეობა. ბოტანიკური ბაღი დაიწყებს არსებული ხე-მცენარეების მოვლას და გამდიდრებას ახალი კოლექციებით. ბოტანიკურ ბაღში შეიქმნება სამეცნიერო ცენტრი. მოხდება კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება; შეიქმნება მიმზიდველი საინვესტიციო და ტურისტული გარემო.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული, თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობილი ბოტანიკური ბაღის ინფრასტრუქტურა;

ბოტანიკური ბაღის ისტორიულ-კულტურული ფაქტორით მუნიციპალიტეტში შექმნილი ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო;

ბოტანიკური ბაღის ისტორიულ-კულტურული და უნიკალური მონაცემებით განპირობებული გაზრდილი ტურისტული პოტენციალი.

პროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი

1.4. 3,500.4 ათასი ლარი – საზოგადოებრივი დანიშნულების მუნიციპალური ავტოპარკის განახლება და გაფართოება (პროგრამული კოდი 03 03 05)

პროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიას, რომლის ფართობი შეადგენს 792 ათასი მ², მაცხოვრებელთა რაოდენობა არის 105.5 ათასი, გზების სიგრძე 1344 კმ, ქალაქის ქუჩების რაოდენობა 480, სოფლად 48 ადმინისტრაციული ერთეულია, ემსახურება მუნიციპალური ტრანსპორტის მხოლოდ 20 ერთეული, რომელთა მორალური და ფიზიკური ცვეთა მინიმუმადეა დაყვანილი, მოსახლეობა სამართლიანად ითხოვდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და მომსახურების ზონის გაფართოებას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო დამატებით, ახალი 15 ერთეული საზოგადოებრივი ტრანსპორტის -ავტობუსის შესყიდვის განხორციელება, ასევე, ავტოპარკისათვის სახელმწიფო საკუთრების მიწის გადმოცემა მუნიციპალიტეტისათვის.

მოსალოდნელი შედეგი

უზრუნველყოფილი იქნება ავტოპარკის მოწყობა, განახლება, მომსახურების ზონის გაფართოება, რომელიც აისახება მაცხოვრებელთა კომფორტულ გადაადგილებასა და ხარისხიან მომსახურებაზე, მორგებული იქნება მათ საჭიროებებზე. პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურისტების და დამსვენებლებისათვის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის მომსახურების დონის ამაღლებას, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნას.

1.5. 380,1 ათასი ლარი – სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განხორციელდება სანიაღვრე ქსელებისა და არხების მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცია და სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ადმინისტრაციულ ერთეულებში სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია: ქალაქ ზუგდიდის გორგასლის, თამარ მეფის რუსთაველის ქუჩიდან თამარ მეფის ქუჩის გაგრძელებამდე,



გოჩა ჯიქიას, ივანე ჯავახიშვილის 1, 2, 8, 9 შესახვევებზე, ოდესის ქუჩა ჯავახიშვილის ქუჩა, დავით ჯიქიას ქუჩა ბორჯომის ქუჩის შესახვევამდე, ბაკურიანის ქუჩა (ბორჯომის ქუჩის, ჯიქიას ქუჩისა და მათ შორის საკარმიდამო ნაკვეთების გავლით), რუსთაველის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია ხუბულავას ქუჩის გადასახვევამდე, ჭავჭავაძის ქუჩაზე (გურამიშვილის ქუჩიდან მესხიას ქუჩამდე) ღია ტიპის ამორტიზებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია-მოწყობა, გრიბოდოვის და გორის ქუჩა (ბოლო მონაკვეთი), სერგიას ქუჩა (კომბინატი), გრიბოდოვის და გორის ქუჩა (ბოლო მონაკვეთი), ბუდაპეშტის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა, ლერმონტოვის ქუჩა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ბუნების სტიქიების დროს მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების, ეზოებისა და სავარგულების დაცვა მატერიალური ზიანისა და ადამიანების სიცოცხლისთვის საშიში გარემოებებისგან;

მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ნალექიან ამინდში ჭარბი წყლის მასების გამტარუნარიანობის ამაღლების მარგიქმედების მაჩვენებელი;

სტიქიური მოვლენებისგან ზიანისაგან დაცული მოსახლეობისა და ოჯახების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

პროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური

1.6. 400.0 ათასი ლარი – მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)

მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური ხელშეწყობა ითვალისწინებს მოსახლეობის სოციალურ დაცვას საწვავი მასალებისა და მარაგნაწილების ფასების შესაძლო ზრდის პირობებში მგზავრობის ღირებულების გაძვირების ფაქტორისაგან. ეს პირდაპირ უკავშირდება მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური დანახარჯების და შემოსავლების თანაფარდობით მოსალოდნელი ზარალის ბიუჯეტის სახსრებით ნაწილობრივ დაფარვას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების სტაბილურობის შენარჩუნება;

მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების დონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მგზავრობის გაძვირების ფაქტორისგან დაცული მოსახლეობის გაზრდილი სეგმენტი;

მგზავრობის მომსახურების გაუმჯობესებული ხარისხი.

პროგრამის განმახორციელებელია შპს „მუნიციპალური ტრანსპორტი“

1.7. 675,2 ათასი ლარი – შპს „ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS“ ფინანსური ხელშეწყობა (კოდი 03 06)

პროგრამის მიზანია ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლზე არსებული ინფრასტრუქტურის ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. განხორციელდება ზღვის სანაპირო ზოლში ხელოვნური საფარის, ქვიშის მოედნების, ამფითეატრის კაპიტალური შენობის, ქვიშის მოედნების, შადრევნების, საშხაპეების და სხვა ქონებრივი აქტივების კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია, ჩატარდება არსებული გამწვანების ზოლის მოთიბვის, სხვადასხვა ხე-მცენარეების გასხვლის,



შეწამვლის და შესაბამისი მინერალებით კვების სამუშაოები. ასევე განხორციელდება ელექტრო გაყვანილობის ქსელების, ელექტრო მოწყობილობების, სხვადასხვა ტიპის სანათების, განათების ბოძებისა და მინათების საშუალებების მოვლა-პატრონობა და სწორი ექსპლოატაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

აღდგენილი, გამართული და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, რომელიც შეუქმნის დამატებით კომფორტს, ვიზიტორებს და ესთეტიურად წარმოაჩენს ზღვისპირა კურორტის სილამაზეს, ღამის საათებში ვიზიტორების უსაფრთხო გადაადგილება და ტერიტორიის განათებული იერსახე.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული და მოვლილი მუნიციპალური ქონებრივი აქტივები, საკურორტო ზონის გამართული ინფრასტრუქტურა;

ანაკლია-განმუხურის საკურორტო ზონის ცნობადობის ამაღლება, დამსვენებლთა და ვიზიტორთა გაზრდილი კონტიგენტი.

პროგრამის განმახორციელებელია შპს „ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS“

1.8. 220.0 ათასი ლარი-სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 07)

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის, მათ შორის ფერმერული მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა მემცენარეობის და მეცხოველეობის საპილოტე პროგრამების მეშვეობით, მომდევნო წლებში პროგრამების გაფართოება და საკუთარი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება, როგორც ადგილობრივ მომხმარებელზე, ისე გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მომდევნო საშუალო ვადიანი პერიოდისთვის სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მცირე და საშუალო საწარმოების ასამოქმედებლად შესაბამისი ბაზის მომზადება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

სოფლის მოსახლეობის დასაქმების პროგრამის განხორციელებით და მუნიციპალიტეტის აგრარული დარგის პოტენციალის ზრდის ხელშეწყობით მოსახლეობის გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამებში ჩართული მოსახლეობის გაზრდილი სეგმენტი;

პროგრამის განმახორციელებელია შპს „ზუგდიდაგროსერვისი“

1.9. 2889,2 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობის ღონისძიებანი (პროგრამული კოდი 03 08)

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებრივი აქტივების კერძოდ კაპიტალური შენობების, ნაგებობების, ტექნიკური დანიშნულების კორპუსების კეთილმოწყობა, რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. აღნიშნულ შენობებში შშმ პირთათვის ადვილად შეღწევადობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამუშაოების ჩატარება.

მოსალოდნელი შედეგი:

გაუმჯობესებული მუნიციპალური აქტივები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:



კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული მუნიციპალური აქტივების რაოდენობრივი ზრდა;

მეტი შშმპ შეღწევადობის შესაძლებლობების მქონე მუნიციპალური ადმინისტრაციული შენობები, ნაგებობები და სახლები.

პროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური

1.10. 2260,3 ათასი ლარი-რგვ-დან და მგვ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 09)

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად ბოტანიკური ბაღის მიმდინარე საინვესტიციო პროექტის თანადაფინანსება და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები. როგორცაა გზების მშენებლობა, სანიაღვრე არხების მოწყობა, საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, ბოტანიკური ბაღის სრული რეაბილიტაცია და ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა და სხვა. აღნიშნული პროგრამების განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების გამოყოფა.

მოსალოდნელი შედეგები:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება და მყარი მატერიალური ბაზის შექმნა;

მოსახლეობის ცხოვრების პირობების და კეთილდღეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტების დინამიკური ზრდა;

მოსახლეობის გაუმჯობესებული ცხოვრების პირობები და ეტაპობრივად გადაწყვეტილი სოციალურ-საყოფაცხოვრებო პრობლემები

